სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2011 წლის 6 დეკემბერს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *ანასტასაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №41959/08*

აპლიკანტი თეოფილოს ანასტასაკისი საბერძნეთის მოქალაქეა, დაიბადა 1949 წელს და ცხოვრობს ჰერაკლიონში. მას ჰქონდა მიწის ნაკვეთი, რომელზეც ამუშავებდა ბენზინ-გასამართ სადგურს. აღნიშნული მიწის ნაკვეთის ექსპროპრიაცია განხორციელდა 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის ჰერაკლიონის ეროვნული სტადიონის ასაშენებლად. ექსპროპრიაციის შემდეგ მან შეწყვიტა საქმიანობა. საკომპენსაციო თანხამ ვერ დაფარა ის ზარალი, რაც განმცხადებელს ბენზინ-გასამართი სადგურის დახურვის შედეგად მიადგა. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, რადგან მას არ მიეცა საშუალება თავისი უფლებები დაეცვა სასამართლოში.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

- *ბერკუტი ს.რ.ლ. მოლდოვას წინააღმდეგ – განაცხადი №32247/07*

აპლიკანტი კომპანია მანქანის ტარების შემსწავლელი სკოლაა, რომელიც დარეგისტრირებულია მოლდოვაში. აპლიკანტი კომპანია ჩივის, რომ ხელისუფლების მიერ 2006 წლის აგვისტოში ლიცენზიის ჩამორთმევა, რომელიც დაკავშირებული იყო ადმინისტრაციულ დარღვევებთან თავისი თანამშრომლების შეცვლის გამო. მას შემდეგ ეს სკოლა დაიხურა. განმცხადებელის ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველის ოქმის I მუხლი. აპლიკანტის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 9000 ევროს გადახდა მატერიალური ზიანისა და 4000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის დასაფარად.

- *როჟინი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №50098/07*

აპლიკანტი იგორ როჟინი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1963 წელს და ცხოვრობს მინუსინსკში (რუსეთი). 2001 წლის დეკემბერში ის ბრალდებულად სცნეს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში, მათ შორის მკვლელობასა და ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების წევრობაში და მიუსაჯეს 14 წლით პატიმრობა. მისი საქმე ეხება ადგილობრივი ხელისუფლების ქმედებებს, პატიმრობაში ყოფნის პირობების თაობაზე და ასევე იმას, რომ არ მიეცა საშუალება, დასწრებოდა საქმის განხილვებს. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 1000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის დასაფარად.

- *პოპივჩაკი სლოვენიის წინააღმდეგ – განაცხადი №13665/07*

აპლიკანტი პეტერ პოპივჩაკი სლოვაკეთის მოქალაქეა, დაიბადა 1950 წელს და ცხოვრობს კოშიცეში (სლოვაკეთი). ის არის ინდივიდუალური მეწარმე. 1996 წელს საგადასახადო უწყების წარმომადგენლება მოსთხოვეს მას დაებრუნებინა სახელმწიფო სუბსიდიები. მან დაიქირავა ადვოკატი და გაასაჩივრა ეს მოთხოვნა, რომელიც ნაწილობრივ დაუკმაყოფილა სასამართლომ. წარმოდგენილი საქმე ეხება მის საჩივარს ზარალის მოთხოვნის უარყოფის თაობაზე, რომელიც თავისი ადვოკატის წინააღმდეგ შეიტანა სასამართლოში სახელმწიფო სუბსიდიების დაბრუნების საქმის განხილვისას ადვოკატის უკანონო ქმედებების გამო. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

- *ჟუბორი სლოვაკეთის წინააღმდეგ – განაცხადი №7711/06*

აპლიკანტი რობერტ ჟუბორი სლოვაკეთის მოქალაქეა, დაიბადა 1968 წელს და ცხოვრობს ველიჩნაში (სლოვაკეთი). 2003 წლის ივნისში ის დააპატიმრეს ყაჩაღობის დაგეგმვის გამო და მოათავსეს დაკავების საკანში. აპლიკანტი ჩივის, რომ მისი დაკავება 2005 წლის იანვრიდან 2006 წლის მარტამდე, ვიდრე მას გაათავისუფლებდნენ, იყო უკანონო და კომპენსაცია, რომელიც მას შემდგომი სასამართლო განხილვების შედეგად მიაკუთვნეს, შეუსაბამო იყო. მან ასევე განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო რვა თვის განმვალობაში იხილავდა მის საჩივარს გათავისუფლების მოთხოვნის თაობაზე. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I და მე-4 ნაწილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I და მე-4 ნაწილები. რაც შეეხება აპლიკანტის მოთხოვნას სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ, სასამართლომ ეს მოთხოვნა არ განიხილა.

- *აიანგილი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №33294/03*

აპლიკანტები ფიდან, ფატმა, მეჰმეტ და ვილდან აიანგილები თურქეთის მოქალაქეები არიან, დაიბადნენ 1952, 1930, 1950 და 1957 წლებში და ცხოვრობენ ანკარაში. საქმე ეხება ოჯახის საჩივარს, რომელის თანახმადაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა ააშენეს კერძო სკოლა მათ კუთვნილ მიწაზე, ანკარის მახლობლად, ყოველგვარი ოფიციალური საბუთებისა და გაფრხილების გარეშე. ისინი ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, სასამართლომ გადაწყვიტა, რომე ეს საკითხი მოვიანებით განიხილოს.

- *ილიკი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №2899/05*

აპლიკანტი ნესმეტინ ილიკი თურქეთის მოქალაქეა. 1965 წელს მან იქორწინა ქალბატონ X-ზე, რომელსაც შეეძინა გოგონა. აპლიკანტმა განაცხადა, რომ ის არ არის ბავშვის ბიოლოგიური მამა. 1966 წელს ანკარას რაიონულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება წყვილის განქორწინების თაობაზე. 1968 წელს იმავე სასამართლომ უარყო განმცხადებლის სარჩელი მამობაზე უარის თქმის შესახებ, დაასაბუთა რა თავისი გადაწყვეტილება სისხლის ანალიზის შედეგებით. 2002 წელს აპლიკანტმა სასამართლოს მიმართა საქმის განხილვის განახლების მოთხოვნით და დნმ-ის ტესტის წარდგენით. განაცხადი ასევე იქნა უარყოფილი. ნესმეტინ ილიკი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან არ მიეცა საქმის განხილვის განახლების საშუალება, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა უარი ეთქვა მამობაზე სამეცნიერო ტესტის საფუძველზე დაყრდნობით.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.

<u>ანალოგი საქმეები</u>

- *ზაჰიდ მამადოვი და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ – განაცხადი №3172/08, 42347/08, 454/09, 2772/09 და 32585/09*

საქმე ეხება განმცხადებლების საჩივარს მათ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის თაობაზე, რომლითაც ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა – რეგიონებიდან, რომლებიც სომხეთის შეიარაღებული ძალების მიერაა კონტროლირებადი – გამოსახლება უნდა მომხდარიყო ბინებიდან, რომლებსაც ისინი ფლობდნენ ან საკუთრების უფლებით, ან არენდით. განმცხადებლები ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი.

- *ალექსანდრე პონომარიოვი – განაცხადი №8235/03*

საქმე ეხება აპლიკანტის საჩივარს მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების გადადების თაობაზე, რომლითაც მიეკუთვნა კომპენსაცია ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მიმდინარე გადაუდებელ სამუშაოებში მონაწილეობისათვის. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის გაჭიანურებით განხილვის კუთხით არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულების გადადების გამო, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

<u>გაჭიანურებული საქმეები</u>

- *ანტონიოს სიმოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №41969/08*
- *სორბა უნგრეთის წინააღმდეგ – განაცხადი №49905/06*
- *რედნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №18072/04*

წარმოდგენილ საქმეებში აპლიკანტები ჩივიან ადგილობრივი სასამართლოების მიერ მათი საქმეების გაჭიანურებით განხილვის გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ სამივე საქმეში დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.